

საქართველოს კანონი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 33-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 33. შეურაცხაობა ასაკის გამო

ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეურაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.“.

2. მე-80 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 80. არასრულწლოვანი დამნაშავეის ასაკი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი.“.

3. ამოღებულ იქნეს 88-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები;

4. ამოღებულ იქნეს 414-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი